საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№355 2020 წლის 20 თებერვალი ქ. თბილისი

ქ. თბილისში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ

1. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებულ არქიტექტურულ ობიექტს – ქ. თბილისში, ასკანის ქ. №5-ში მდებარე საერო ნაგებობას (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.18.03.067.006), ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ამავე განკარგულებით გათვალისწინებული ობიექტის მონაცემების საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**

დანართი

№	ფოტო	სახელწოდება	ადგილმდებარეობა	სახეობა	თარიღი
1.		საერო ნაგებობა	ქ. თბილისი, ასკანის ქ.№5 (ს/კ 01.18.03.067.006)	არქიტექტურის / არქეოლოგიური	XVII-XIX საუკუნეები